

რუსუდან სალინაძე

**ლექსურ დიალექტური სიტყვაწარმოები
სალექსიკონო სივრცეში
(მიხეილ ალავიძის მასალის მიხედვით)**

XIX საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართული დიალექტური ლექსიკის შეგროვებასა და ლექსიკონების გამდიდრებას. ეს საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 40-50-იან წლებში, როცა შეიკრიბა მდიდარი დიალექტური სალექსიკონო მასალა, შეიქმნა სამეცნიერო ნაშრომები, გამოიცა ლექსიკონები. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ქართული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტის – ლეჩხუმურის შესწავლას, რაშიც გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ვარლამ თოფურიას, მიხეილ ჩიქოვანს („ლეჩხუმური ლექსიკონი“, 1941), მიხეილ ალავიძეს... (აღ. ლლონტი, 1984: 5).

შემდგომში ლეჩხუმური დიალექტის საფუძვლიანი შესწავლა დაკავშირებულია ქართველი ენათმეცნიერის მიხეილ ალავიძის სახელთან. ვგულისხმობთ კვლევის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებს. ეს კარგად ჩანს მეცნიერის ლექსიკოგრაფიული ხასიათის ნაშრომებში, რომლებშიც ასახულია ლეჩხუმური დიალექტისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და წარმოდგენილია საკმაოდ მდიდარი და, ამასთან, ახალი ლექსიკური ერთეულები. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში შეუდგა იგი ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას. მეოთხე კურსზე სწავლისას შეიქმნა მ. ალავიძის პირველი საენათმეცნიერო ნაშრომი „ლეჩხუმური ლექსიკონი“ (1938). მის მიერ მოპოვებული მასალა დაედო საფუძვლად 1951 წელს გამოქვეყნებულ წიგნს „ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება“. ამ წიგნს ავტორმა დაურთო „ლეჩხუმური ლექსიკონი“ (გვ. 141-150) (ი. რუსაძე, 2013: 44); 1941 წელს მ. ალავიძემ გამოსცა ნაშრომი „ლეჩხუმურის თავისებურებანი“. მეცნიერს არასდროს არ შეუწყვეტია ლეჩხუმური ლექსიკის ჩაწერა-შეგროვება. იგი ახალ-ახალ მასალებს ლეჩხუმური ლექსიკონისათვის პერიოდულად აქვეყნებდა აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების კრებულებში (იხ. ტტ. XIII, 1955: XXIV, 1962).

ცალკე მსჯელობის თემაა, ზოგადად, მ. ალავიძის ლექსიკოგრაფიული საქმიანობა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, ქართული ენის სხვა კილოების, კერძოდ, იმერულის შესწავლაში, რასაც მიეძღვნა მისი „ოკრიბული ლექსიკონი“ (1950-1951), „დავით კლდიაშვილის ლექსიკონი“ და სხვ. ნაშრომში „ქართული დიალექტური ლექსიკიდან“ მოცემულია ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურისათვის სრულიად ახალი მასალები. ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, გურულ-იმერულსა და რაჭულ-ლეჩხუმურში, გავრცელებული 320 სიტყვა და გამოთქმა. ახსნა-განმარტებებს ახლავს ფრაზეოლოგიზმებიც. როგორც თავად მიუთითებს, „ზეპირსიტყვიერების საუნჯიდან ამოკრებილი ეს

მაგალითები საჭირო და აუცილებელია ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის. მთელი შრომა შეემატება ქართული ენის საერთო დიალექტურ ლექსიკონს“ (მ. ალავეიძე, 1962: 279).

და მართლაც, მ. ალავეიძის მიერ იმერეთში, რაჭაში, გურიაში, ლეჩხუმში მოპოვებული ლექსიკა შესულია ქართული ენის სხვადასხვა სახის ლექსიკონებში, მაგრამ მის ლექსიკოგრაფიულ მოღვაწეობაში მაინც გამორჩეულია ლეჩხუმური დიალექტის კვლევა. მ. ალავეიძის მასალების მიხედვით ლეჩხუმური სიტყვაფორმები დიდი ხანია დამკვიდრებულია ქართულ სალექსიკონო სივრცეში. საკმაოდ ბევრი ლექსიკური ერთეულია ასახული ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“.

მ. ალავეიძის ლექსიკოგრაფიული საქმიანობის, ლეჩხუმური დიალექტის შესწავლაში შეტანილი წვლილის წარმოსაჩენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მონაცემები. ლექსიკონში სიტყვა სტატია „ლეჩხ.“ წარმოდგენილია სულ 443 ჩანაწერში. აქედან მხოლოდ ლეჩხუმურს უკავშირდება დაახლოებით 200-მდე ჩანაწერი. რაჭულ-ლეჩხუმურს – 40-მდე, იმერულ-ლეჩხუმურს – 30-მდე, დანარჩენი კი – ლეჩხუმურისა და სხვა კილოებისთვის დამახასიათებელ საერთო ლექსიკას. 443 ჩანაწერიდან მ. ჩიქოვანის სახელით არის 11 შედეგი, რომლებიც არ დასტურდება მ. ალავეიძის მასალებში. ესენია: **ჩინჩველა** (ბალახია ერთგვარი), **ცალქია** (დახრილი), **ცულკაკვი** (ერთგვარი ნაჯახი), **ძაძვა** (კანაფის კანის გაძრობა), **წანკი** (ცუდი ენის პატრონი. მოყენე), **წკაბი** („წყვილელი სმის დროს“), **წოია** (ზარნაშო), **წრიტი** („გველის წიწილი“), **ხალება** (ახლადშემოსული ხილის ხილება), **ჭიკვა** (ჭუჭა ტანის ღონიერი კაცი), **ჭობინი** (ავადმყოფის მომჯობინება) (ქველ). ამათგან რამდენიმე არის სხვა კილოებშიც, კერძოდ: **წანკი** თუშურში ნიშნავს უხეიროს, უვარგისს; **წკაბი** – იმერ.-გურ. მწკრივი, რიგი, წყება; **წოია** – იმერ. პატარა ჩიტი; ი. ჭყონიას სახელით გვხვდება ორიოდ ლექსიკური ერთეული: ლეჩხუმურია **გორო** (საწყაო: ოთხი ბათმანი, ორი ფუთი), რაჭულ-ლეჩხუმური – **ხორგო** („დიდი საწნახელი“)...

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მ. ალავეიძის სახელით მოცემულია 91 შედეგი. ძველ რედაქციაში (1950-1964) იყო 85. ახალ რედაქციაში გამოაკლდა სამი სიტყვაფორმა (ბაჩაკი, ბრუნვალე, ბუნჭველი) და დაემატა ხუთი (გაგებება², გაზიზინებული, გვარალი, გველაფშუტა, გუგუბო). ლექსიკონში შესული მ. ალავეიძის მასალიდან მეტი წილი სიტყვაფორმებისა ლეჩხუმურია, მცირე კი – დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი. მაგალითად:

იმერული: **გველაფშუტა** (სოკო. რომელსაც იყენებენ სისხლდენის შესაწყვეტად), **ლოფხოჭი** (ფეტვის, ღომის, სოიოს ფქვილი, ცხელ წყალში გაქნილი და საფუარჩართული. ცხელ კეცზე ერბოკვერცხივით გამომცხვარი და ცხლად საჭმელი)...

იმერულ-ლეჩხუმური: **ფიჩინი** (სუნთქვის შეწყვეტა ტირილის დროს. იმერულში არის ამ ძირის მქონე ზმნაც: **გადაფიჩინდა**. იტყვიან ბავშვზე, რომელიც შეუჩერებლივ ტირილის შემდეგ სუნთქვის შეჩერებამდე მიდის –

რ.ს.), ხარგა² (ზ. იმერ.: გროვა; იმერ.-ლექზ.: ხის სუფთა ჯონზე აცმული შემწვარი ქათამი, ხორცი, გოჭის თავი, ხაჭაპური და სხვ., ქორწილში მაყრების შინ გასატანებლად გამზადებული).

რაქულ-ლექსუმური: ლეშკი² (ერთფუთიანი საწყაო), ქალეულა (საზაფხულო მსხვილი მსხალი), ხაშარი² (თრთვილი, თოში)...

განსხვავებული მნიშვნელობისაა რაქულსა და ლექსუმურში წიპწიბა. რაქულში მისი მნიშვნელობაა: ძალიან პატარა, პაწაწინა, ლექსუმურში – კანაფის ბოჭკოს ხვეული. ქეგლ-ის მიხედვით, წიპწიბა იგივეა, რაც კუწუბი. [კაბას აქვს] პატარა ჯიბე, გარშემო წვრილი, წვრილი წიპწიპები (ვ. აბაშ. თარგმ.).

ხშირად მ. ალავიძისეული ლექსუმური სიტყვაფორმები სალექსიკონო სივრცეში არსებული ენობრივი ერთეულებისაგან განსხვავებული სემანტიკის მქონეა. ქეგლ-ის მიხედვით ასეთია, მაგალითად:

ბეჩო 1. კუთხ. (იმერ.) „ღრუ მდინარეში, მდინარის ნაპირში, სადაც ბუდობს თევზი და კიბო, ჯილე“ (ვ. ბერ.). 2. საერთოდ, ღრუ. || ბუნაგი. 3. კუთხ. (ლექზ.) დათვის ბუნაგი (მ. ალავ.). ძაღლები გაუსიეს... დათვის ბეჩოებს (კ. გამს.).

ბოიკი 1. ძვ. ორი წლის მოზვერი (საბა). 2. კუთხ. (ლექზ.) ზარმაცი, მოუქნელი (მ. ალავ.).

კოწოლი² 1. კუთხ. (ფშ.) კორიანტელი. 2. კუთხ. (ლექზ.) ცეცხლის ალი; შეშაეება (მ. ალავ.); აღნაკრავი. „კეცი რო შვა ცეცხლში ჩაგიდგამს, ქადს სულ კოწოლი გასჩენია“ (მ. ალავ.).

ტილა 1. კუთხ. (ქართლ. კახ.) შავგერემანი, შავი ადამიანი (ჩვეულებრივ, ბავშვზე ამბობენ). 2. კუთხ. (რაჭ.) გამხდარი მოზვერი (ვ. ბერ.). 3. კუთხ. (ლექზ.) ობოლი, უპატრონო (მ. ალავ.).

ღვინო 1. ყურძნის ნაწური, თავისით დადუღებული, მათრობელა სასმელი... || სხვა ზილეულის წვნის იმავე წესით დაყენებული მათრობელა სასმელი... || კუთხ. (ლექზ.) «ადუღებული ღვინითა და დანაყული ნიგვზით შეზავებული საკმელი“ (მ. ალავ.).

წიორა 1. კუთხ. (ქიზ.) ზღაპრული ჩიტი პატარა ტანისა. 2. კუთხ. (ქართლ. იმერ.) ნაბოლარა, გამხდარი წიწილა (სულ რომ დაწივის). || გამხდარი, გრძელკისერა და პატარა სახის მქონე (ქალი). 3. კუთხ. (ლექზ.) დარიბული, მწირი (მ. ალავ.).

ხალთა 1. ტყავის ტომარა. გუდა. შუბი ხალთაში არ დაიმალებო (ანდაზა). 2. თოფზე (ან დროშაზე) ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე. 3. კუთხ. (ლექზ.) უსახელო წამოსასხამი თბის ტყავისა (მ. ალავ.). 4. იგივეა, რაც მაჩვი.

ხარგა² 1. კუთხ. (ზ.-იმერ.) გროვა. 2. კუთხ. (იმერ. ლექზ.) «ხის სუფთა ჯონზე აცმული შემწვარი ქათამი, ხორცი, გოჭის თავი, ხაჭაპური და სხვ., რომელიც ქორწილიდან მაყრებს მოქპონდათ შინ» (მ. ალავ.).

როგორც მოცემული მასალიდან ჩანს, მ. ალავიძეს ქეგლ-ში შეაქვს აღნიშნულ სიტყვაფორმათა ახალი, მანამდე უცნობი დამატებითი სემანტიკა.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მ. ალავეძის სახელით დამოწმებული 91 შედეგიდან სიტყვა სტატია „ლექს.“ გამოხატავს დაახლ. 62 ლექსიკურ ერთეულს. ამათგან უმრავლესობა ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ დასტურდება იმავე მნიშვნელობით. ასეთი სიტყვებია: არგა, ბზინდი, ბუმბრუჭი, გუგუბო, კიზილი, კიწმაწი, კრუხვა², ლაპლაპა³, ლალია, ლაშხალუშხი, ლაწება, ლელუკა, ნაჩოთირები, რუწუნა, საჯარჯე, ქაქარი, ქენქერი, ქერქეში, ღვირთქლი, ღიალი, ღიოფა, ღორათანა, შურაულა, შხოლვა, ჩორჩალი, ციზური, წვდენი, ჭყერო, ხათარი, ხარიელა, ჩიბაყვა, ხაწამწვარი, ხორდომი, ხუკი, ჩიჩიბახა... თუ ამ ლექსიკურ ერთეულებს განვიხილავთ სალექსიკონო სივრცეში არსებული მასალის ფონზე, კიდევ ერთხელ დავინახავთ მ. ალავეძის როლს მათს გადარჩენა-დამკვიდრებაში.

აქვე გამოვყოფთ იმ სიტყვებსაც, რომელთაც ალ. ლლონტის ლექსიკონში ქველ-ისაგან განსხვავებული განმარტება აქვთ. მაგალითად:

ა) მითითებულია მ. ჩიქოვანის მასალაც:

განმარტება მსგავსია:

ლუყუცი (ლექს.) მსუყე, ქონიანი საჭმელი. ნ. ლუყურტი (მ. ჩიქ., მ. ალავე.,

1) (ალ. ლლ., 338);

ყვიცი¹ (ლექს.) ბნედა, გულის წასვლა (მ. ჩიქ.); **ყვიცი²** (ლექს.) ნატერის დროს იტყვიან ხოლმე: „უზიარე, მარტო რო იყლაპები, ყვიცი წოფიდა ი ბოშს“ (მ. ალავე., 1) (ალ. ლლ., 609);

განმარტება განსხვავებულია:

კვინჭილა¹ (ლექს.) მრგვლად დახვეული ძაფი ან ნართი (მ. ჩიქ.);

კვინჭილა² (ლექს.) კოროლის (ზანდურის ჩალის) პატარა კონა, თავსკენილი (მ. ალავე., 1) (ალ. ლლ., 287)...

ბ) ოდნავ არის შეცვლილი სიტყვის ფორმაცა და განმარტებაც:

ხვილე (ლექს.) ჩირგვი. ნ. აქე – მ. ალავე., 1 (ალ. ლლ., 750). შდრ. აჭა (აჭისა) კუთხ. (გურ.) „ხნულში დატოვებული [დაუხნავი] ალაგი, ხარვეზი, ხტული“ (ვ. ბერ.);

შდრ.: **ხვილა** (ხვილასი) კუთხ. (ლექს.) ქვების გროვა ნაღვარევე ყანაში (მ. ალავე.) (ქველ).

ჩონტო (მ. ალავე., 1) (ალ. ლლ., 662); **ჭონტო** (ლექს.) მოზრდილი წიწილა, მოჩეთი მ. ალავე.: მოზრდილი სადედლე წიწილა, ვარიკა, ვარია დიალექტ.. 680 (ალ. ლლ., 728);

ჩონტო (|| **ჭონტო**) (ქველ).

გ) ქველ-ისაგან განსხვავებით მოცემულია სიტყვის მხოლოდ მ. ალავეძისეული განმარტება: **ღადვი¹** (ლექს.) პატარა ბავშვი. ნ. ბადვი (მ. ალავე., 1) (ალ. ლლ., 585).

შდრ.: **ღადვი¹** (გურ.-იმერ..) გიდლის (კალათის...) ჩამოსაკიდებელი კაუჭი, კაკვი. **ღადვი²** (გურ.) „გაუვალი ბალახი“ (გ. შარაშ.). **ღადვი³** (ლექს.) პატარა ბავშვი. ნ. ბადვი – მ. ალავე. (ქველ);

დ) განმარტებები მითითებულია სხვადასხვა კილოურ მონაცემთა მიხედვით:

გვარალი (ლექს.-აჭარ.) ულო, მომკილი პურის შესაკონი, ძნის შესაკრავი (მ. ალავე., 1); **გვარალა-ი** გორგალი, თავსახვევი, ჩალის კონის შესაკრავი, თივის თოკი (ი. მეგრ.) (ალ. ლლ., 151);

თოხუმი (ქართლ., ქიზიყ., ლეჩხ.). 1. ჯიში, ჩამომავლობა, ჯილაგი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ს. მენტეშ.); 2. ხარაზის ტერმინია, იგივე, რაც თახუმი (ს. მენტეშ.); 3. ეშმაკი ადამიანი (მ. ალაფ., 1). შდრ.: დ. ჩუბ., ქეგლ. სპ. Tohum (?) (ალ. ლლ., 253);

ნამუჭი (რაჭ., ლეჩხ., კახ.) მჭელეული, პურის ხელეური (ვ. ბერ.); ხელეული, მჭელეული, მონამკი, რაც ცალ ხელში (მუჭში) ეტევა (დიალექტ., 687); ნამჭა, ხელეული (მ. ალაფ., 1); მუჭიდან დაბნეული თესლი; მჭელეული (ნ. ზუკაკ., ე. ხუციშვილ.) (ალ. ლლ., 407);

ჩახვა¹ (გურ.) მცირე პარკი, რომელშიაც ბოსტნეულის თესლს ან სხვა რამეს ინახავენ (ა. ლლ.); სამარილე ჩანთა. ნ. ჩახვი (ს. ელ.). ჩახვა² (ლეჩხ.) ხის ღრმა ჯამი (მ. ალაფ., 1). შდრ. ჩახვი (ზ. აქარ.) პატარა ტომარა, პარკი, რომელშიც რძის პროდუქტებს (დოს, ჩოროთანს) გაწურავენ (შ. ნიყარ.) (ალ. ლლ., 651).

ხაშარი¹ (გურ.) 1. ხვეული მცენარის (მაგ., ლობიოს) გრძელი ამონაყარი, რომლითაც იგი სარს (რჯლას) ეხვევა (სიმინდი ზრდის დასასრულს ამოიყრის ხაშარს); 2. კილო. „ერთი ხაშარი წაბლი“ (გ. შარაშ.); ძაფზე ასხმული ვაშლი, მსხალი, პური, ბალი. ფეხსაცმელი და მისთ.; ახაშრულ-ი ასხმულა, აკიდოდ გაკეთებული (ა. ლლ.). ხაშარი² (ლეჩხ.) თოში, თრთვილი (მ. ალაფ., 1). ხაშარი³ (აქარ.) ლობიოს სარი: ხაშარი < ხესარი (პ. ჯაჯან.) (ალ. ლლ., 742)...

ამ მასალის ანალიზი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა დამუშავდეს დიალექტური სიტყვაფორმები სალექსიკონო სივრცეში განსათავსებლად. „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ჩანს ალ. ლლონტის მიერ გაწეული დიდი შრომაც და მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობაც. ამის შესახებ მიუთითებს თვით ალ. ლლონტი ლექსიკონის მეორე გამოცემის წინასიტყვაში (ალ. ლლონტი, 1984: 7-8). სავარაუდოდ, სალექსიკონო ერთეულთა სხვა კილოების მონაცემებთან შეჯერებული მასალა ლექსიკონის ავტორს მ. ალაფიძემაც მიაწოდა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განსხვავებული ვითარება, სალექსიკონო მასალის შეჯერებული განმარტებები უნდა აისახოს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაში. აგრეთვე ელექტრონულ ლექსიკონებში.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და გამდიდრებისათვის დიალექტთა მონაცემებს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე, სალექსიკონო სივრცეში დადასტურებული მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, გამოკვლევები წარმოაჩენს მ. ალაფიძის ღვაწლს არა მარტო ცალკეულ კილოთა, მათ შორის ლეჩხუმურის, შესწავლაში, არამედ ქართული ენის ისტორიაში, ქართველურ დიალექტოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ალაფიძე, 1951 – მ. ალაფიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი: წიგნში „ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა“, თბ., 1951.

- მ. ალავიძე, 1962 – მ. ალავიძე. ქართული დიალექტური ლექსიკიდან (გურული-იმერული და რაჭულ-ლეჩხუმური მასალები): ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, ქუთაისი, 1962.
- ი. რუსაძე, 2013 – ი. რუსაძე, პროფ. მიხეილ ალავიძე – ლეჩხუმური დიალექტის მკვლევარი (წიგნის გამოცემიდან 75 წლისთავის გამო): XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გორი, 2013.
- ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბ., 1950-1964; <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>
- ალ. ღლონტი, 1984 – ალ. ღლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II გამოცემა, თბ., 1984.

RUSUDAN SAGINADZE

WORD-FORMS OF LECHKHUMIAN DIALECT IN VOCABULARIES (ACCORDING TO MIKHEIL ALAVIDZE'S MATERIALS)

The detailed study of the Lechkhumian dialect, in terms of both theoretical and practical aspects of research, is closely associated with the Georgian scholar, Mikheil Alavidze. Specificities of the Lechkhumian dialect and its lexis are reflected in Mikheil Alavidze's works in *lexicography*.

The proposed article discusses the Lechkhumian word-forms attested in Georgian vocabularies, according to Mikheil Alavidze's materials. The data contained in eight volumes of "The Explanatory dictionary of the Georgian language" is of special importance.

91 and 85 results are associated with Mikheil Alavidze in new and old (1950-1964) editions of "The Explanatory dictionary of the Georgian language", respectively. Three word-forms (i.e. *bačaki*, *brunvale*, *bunčveli*) were removed from and five (i.e. *gaegeba*, *gazizinebuli*, *gvarali*, *gvelapšuta*, *gugubo*) were added to the new edition (a, b, c, d).

Among the 91 results attested in "The Explanatory dictionary of the Georgian language", the 62 word-forms of the Lechkhumian dialect are provided by Mikheil Alavidze (these forms are as follows: *arga*, *bumbruki*, *gvarali*, *lağia*, *leluğa*, *ručuna*, *šuraula*, *cizuri*, *čvdeni*, *ħordomi*, *ħuği*, *jeo*, *jijibaħa*, etc.).